პროლეტარეთო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 150 (1320) ○ სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში დაიწყო წყალბურთში საკავშირო პირველობა

მ ო ს კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). გასულ შაბათს მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთში სსრ კავშირის პირველობის მეორე წრე.

შეჯიბრების პირველ დღეს საინტერესო იყო წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილის გუნდისა და თბილისის „დინამოს“ მატჩი. თამაში დაიწყო ბაქოელთა ენერგიული შეტევებით მათ ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ თბილისელთა მეკარის გოგოლაძის კარგმა თამაშმა მათ ამის შესაძლებლობა არ მისცა. მატჩის მე-3 წუთზე უხეშობისათვის წყლიდან აძევებენ ბაქოელ სალტინს, ხოლო ნახევარი წუთის შემდეგ — მასლოვსკის. რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად, თბილისელებმა დიდხანს ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. ბოლოს ჩხიკვაძის ძლიერმა ტყორცნამ მიზანს მიაღწია — 1:0. ბაქოელი სალტინი კვლავ განაგრძობდა უხეშობას და მსაჯი იძულებული იყო მეორედ გაეძევებინა თამაშიდან. მალე ბართაევის ზუსტი ტყორცნის შედეგად ანგარიში გახდა 2:0 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ავანესიანმა არაზუსტად მიაწოდა ბურთი ჩიქვანაიას. რითაც კარგად ისარგებლა ბაქოელმა კუზნეცოვმა და ერთი სპასუხო ბურთი ტყორცნა „დინამოს“ კარში.—2:1. შემდგომში ჩიქვანაიამ ბართაევის მიწოდებიდან ანგარიში სამამდე აიყვანა, რასაც ბაქოს გუნდმა ერთი ბურთით უპასუხა.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ამ დღეს ცსკ მო-ს წყალბურთელები შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდულ კოლექტივს. პირველ ტაიმში თბილისელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ თავიანთ ძლიერ მეტოქეებს და თამაშის პირველი ნახევარი წაგებულ იქნა მხოლოდ ერთი ბურთის განსხვავებით — 1:2. შესვენების შემდეგ არმიელები თამაშობდნენ სრული ძალით და შედეგმაც არ დააყოვნა. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 6:2.

ლენინგრადის სკიფისა და მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. მოსკოვის „დინამომ“ მოუგო „შრომითი რეზერვებს“ — 7:4. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა — ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის კოლექტივს — 3:2, კიევის სკიფმა — ლვოვის „დინამოს“ 4:2.

ნ. დოლიძე

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 დეკემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	12	11	1	0	56:26	23
ცსკმო	12	10	1	1	50:22	21
უნივერს. მ.	12	10	0	2	39:21	20
„დინამო“ თბ.	12	9	0	3	40:27	18
სკიფი ლ.	12	6	2	4	36:33	14
კკფ ბ.	12	5	2	5	43:32	12
ზილ მ.	12	3	3	6	36:30	9
სკიფი კ.	12	4	1	7	33:36	9
საზღ. სასწ. ლ.	12	3	2	7	27:25	8
„შრ. რეზ.“ მ.	12	2	0	10	35:47	4
„დინამო“ ლვ.	12	1	2	9	34:50	4
„ბურ“. თბ.	12	0	0	12	16:96	0

შენიშვნა: „მ“ — მოსკოვი, „ლ“ — ლენინგრადი, „ლვ“ — ლვოვი, „ბ“— ბაქო, „კ“—კიევი.

მდგომარეობა XV ტურის შემდეგ

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
ოიგნატიევა	1		½	0	½	1	½	0	1	½	½	½	½	0	1	•						
მ.ფოგონიძე	2	½		0	0	½	½	½	1	0	½	½	½	•	½							1
ს.როოტარე	3	1	1		½	0	0	½	½	½	1	0	½	½							½	½
ვ.ბორისენკო	4	½	1	½		½	0	1	0	1	1	•	½							½	0	½
ვ.ფიხტიკიროვა	5	0	½	1	½		1	½	½	½	1	•							0	0	½	0
ფ.ზაფულოვსკაია	6	½	½	1	1	0		1	1	½	1							0	½	1	½	½
ე.მალინოვა	7	1	½	½	0	½	0		0	0							½	½	0	½	½	1
ფ.ფილანოვსკაია	8	0	0	½	1	½	0	1								½	½	0	0	½	0	1
ლ.იაკირი	9	½	1	½	0	½	½	1							1	½	½	0	0	½	½	0
თ.ფალანდიშვილი	10	½	½	0	0	0	0							0	½	0	½	0	0	½	0	½
ლ.ნისენბოიმი	11	½	½	1	•	•							1	½	1	1	0	0	1	½	0	½
ო.რუბცოვა	12	½	½	½	½							0		½	0	1	½	1	½	0	½	1
კ.ზვორიკინა	13	1	•	½							1	½	½		1	1	½	½	1	1	1	½
ბ.ბოლკუნბარტი	14	0	½							0	½	0	1	0		0	0	½	0	1	½	0
ა.ჩაიკოვსკაია	15	•							½	½	1	0	0	0	1		½	1	0	½	0	1
ა.კუშნირი	16							½	½	½	½	1	½	½	1	½		½	½	1	0	0
ე.ბიკოვა	17						1	½	1	1	1	1	0	½	½	0	½		1	0	0	
ნ.ბუშრიდაშვილი	18					1	½	1	1	1	1	0	½	0	1	1	½	0		1		
ე.კაკაბაძე	19				½	1	0	½	½	½	½	½	1	0	0	½	0	1	0			
ლ.ვოლკოვრეტი	20			½	1	½	½	½	1	½	1	1	½	0	½	1	1	1				
ი.ბურფიანოვი	21		0	½	½	1	½	0	0	1	½	½	0	½	1	0	1					

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერტილებით აღნიშნულია გადადებული პარტიები.

გუშინ XVI ტურში თამაშობდნენ ბიკოვა-გურფინკელი, გაფრინდაშვილი-ვოლპერტი, კუშნირი-იგნატიევა, ჩაიკოვსკაია-ტოგონიძე, გოიჰენბერგი-როოტარე, ზვორიკინა-ბორისენკო, რუბცოვა-ტიხომიროვა, ნისენბოიმი-ზატულოვსკაია, სტრანდსტრემი-მალინოვა, იაკირი-ფილანოვსკაია. ისვენებდა კაკაბაძე.

16 დეკემბერი. XVII ტური. გურფინკელი - გაფრინდაშვილი, ვოლპერტი-კაკაბაძე, იგნატიევა-ბიკოვა, ტოგონიძე-კუშნირი, როოტარე-ჩაიკოვსკაია, ბორისენკო-გოიჰენბერგი, ტიხომიროვა-ზვორიკინა, ზატულოვსკაია-რუბცოვა, მალინოვა-ნისენბოიმი, ფილანოვსკაია-სტრანდსტრემი. ისვენებს იაკირი.



გულშემატკივრები. ფოტოეტიუდი რ. ბაქრაძისა.

უჩვეულო სეანსი

ამას წინათ სოჭა-ლენინგრადის მატარებელში ჩატარდა უჩვეულო ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. მატარებლის გამყოლთა ბრიგადირმა შეიტყო, რომ ერთ-ერთ ვაგონში მგზავრობს გროსმაისტერი ბ. სპასკი და მგზავრებისა და თავისი კოლეგების სახელით თხოვა მას ჩაეტარებინა ერთდროული თამაშის სეანსი. მატარებლის ვაგონ-რესტორანში გაიმართა სეანსი 8 დაფაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, გროსმაისტერმა ყველა პარტია მოიგო.

ხარკოვი. XX ჩემპიონატი

ხ ა რ კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). გასულ შაბათს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კაკაბაძემ ოსტატური თამაშით მოახდინა თავისი უპირატესობის რეალიზაცია და მოუგო ბიკოვას (საინტერესოა აღინიშნოს, რომ კაკაბაძე ეს უკვე მესამედ ამარცხებს მსოფლიო ჩემპიონს). კარგად ითამაშა აგრეთვე ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც მოუგო გურფინკელს. იგნატიევამ დაამარცხა გოიჰენბერგი, ზატულოვსკაიამ — სტრანდსტრემი, გურფინკელმა — კუშნირი, იაკირმა — მალინოვა. ყაიმით დამთავრდა ზატულოვსკაია-იაკირისა და ზვორიკინა-როოტარეს პარტიები. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

XV ტურის შემდეგ წინ არიან: ლ. ვოლპერტი — 10,5 ქულა, კ. ზვორიკინა — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. გაფრინდაშვილი — 9,5 ქულა.



ვაჟები

ტ ა ლ ი ნ ი. 11 დეკემბერი. ადგილობრივი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი შეხვდა კაუნასის სკიფ-ს. შეხვედრა მოიგეს ესტონელმა კალათბურთელებმა—62:58.

* * *

მ ო ს კ ო ვ ი. 12 დეკემბერი. კიევის სკიფი მოსკოვში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“. ანგარიშით 59:50 გაიმარჯვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა.

* * *

ა ლ მ ა-ა ტ ა. 14 დეკემბერი. თავისი მეორე მატჩი თბილისის „დინამომ“ ჩაატარა ალმა-ატის „ბურევესტნიკთან“. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 68:60.

ქალები

მ ო ს კ ო ვ ი. 10 დეკემბერი. დედაქალაქის ორი წამყვანი კოლექტივის „სერპ ი მოლოტისა“ და მ ა ი-ს შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა — 69:50.

* * *

ტ ა რ ტ უ. 11 დეკემბერი. ადგილობრივი უნივერსიტეტის კალათბურთელებმა დაამარცხეს კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები — 61:41.

* * *

მ ო ს კ ო ვ ი. 12 დეკემბერი. კარგად გამოდის საკავშირო შეჯიბრებაში დედაქალაქის „სერპ ი მოლოტი“. მეორე მატჩი ახალგაზრდა კალათბურთელებმა მოუგეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მოსკოვის „დინამოს“ — 69:54.

დოლი. ფოტო ვ. სემიონოვისა.

ᲐᲥ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲥᲔᲤᲓᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲒᲑᲘᲚᲔᲑᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ქუთაისის ცენტრალურ საჭიდაო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა საქალაქო პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვეს საავტომობილო ქარხნის სპორტსმენებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ქალაქის ჩემპიონები გახდნენ: გ. მეტრეველი (საავტომობილო ქარხანა), შ. ჩარკვიანი (II ტექ. სასწ.), ა. ბარათაშვილი, შ. მეზურნიშვილი (საავტომობილო ქარხანა), ნ. პოშნაროვი (II ტექ. სასწ.), გ. ხარშილაძე (საავტომობილო ქარხანა), ჯ. ღვინერია (II ტექ. სასწ.). მძიმე წონაში პირველობა არ ჩატარებულა.

* * *

ქალაქის სპორტულ მოედნებზე 16 დღეს მიმდინარეობდა სამატჩო შეხვედრა ქალაქის სატყეო, სამთო და ავტოტექნიკუმებს შორის სპორტის 14 სახეობაში.

23,5 საჯარიმო ქულით საერთო პირველი ადგილი დაიკავეს სატყეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა, რომელთაც გამარჯვება ხვდათ მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ძალოსნობაში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტულ ტანვარჯიშში.

მეორე ადგილზეა სამთო ტექნიკუმის გუნდი, რომლის სპორტსმენები პირველები იყვნენ კალათბურთში, ფრენბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში.

ავტოტექნიკუმის გუნდებმა გაიმარჯვეს მხოლოდ ველოსპორტსა და კლასიკურ ჭიდაობაში.

* * *

დამთავრდა საქალაქო პირველობა ფეხბურთში.

პირველ ჯგუფში შეჯიბრება ძლიერად ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 9 ქულა და პირველი ადგილი მოიპოვა. 8-8 ქულით მომდევნო ადგილები გაიყვეს ტროლეიბუსების სამმართველოსა და „დინამოს“ მეორე გუნდის ფეხბურთელებმა.

მეორე ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა სამთო ტექნიკუმის გუნდი, ხოლო მესამეში — მანქანათმშენებელი ქარხნის ფეხბურთელთა კოლექტივი.

ლ. ფაჩუაშვილი

ცხადია, ამ პირობებში ძირეულ კოლექტივებს არ შეუძლიათ სათანადო შევსება მისცენ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებ გუნდებს, ამ ნაკლის კომპენსაცია „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურმა საბჭომ სცადა ცენტრალური სექციების ხარჯზე, რომელთა საქმიანობას 40-მდე კვალიფიციური მუშაკი ხელმძღვანელობდა. ეს მცირე ძალა როდია მუშაობის მალალ დონეზე დაყენებისათვის, მაგრამ მათი საქმიანობისადმი არასათანადო კონტროლმა და დაბალმა მომთხოვნელობამ ცენტრალურ სექციებშიც კი საქმე ჩაშლამდე მიიყვანა.

რესპუბლიკურ საბჭოს თავისი სხდომის მსჯელობის საგნად ხშირად რომ გაეხადა უქნარა ფიზკულტურულ მუშაკთა უმოქმედობა, მიეცა მისთვის სათანადო ტულ მუშაობაზე, რომ თვით რესპუბლიკურ საბჭოს მუშაკებს წესრიგში ვერ მოუყვანია. აღრიცხვა-მეურნეობა. ცუდად მუშაობენ საზოგადოებრივი [illegible] ნელი სექციები, პრაქტიკული უურადღება არ [illegible] სახეობათა განვითარებას, როგორიცაა ტურიზმი, ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა და სხვ. საბჭო ეშვიათად იწვევს სხდომებს. მთელი წლის განმავლობაში აქ მხოლოდ 5-ჯერ განუხილავთ სხდომის ჩატარება და მაშინაც არავის მოჰგონებია დღის წესრიგში დაეყენებინათ რომელიმე ძირეული კოლექტივის, საზოგადოებრივი კადრების მომზადების, სპორტის ჩამორჩენილ სახეობათა განვითარების, ბაზების კეთილმოწყობის, სპორტის პროპაგანდის საკითხები.

უფრო მეტიც. საბჭოს ავიწყდება მის მიერ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, გვერდს უვლის ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. ასე რომ არ ყოფილიყო, აქაც რაიმე რეაგირებას მოახდენდნენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემის შესახებ.

რესპუბლიკურ საბჭოში თავი იმართლეს: ძირეული კოლექტივების საკითხი რამდენიმეჯერ იქნა მოსმენილი სამმართველოს სხდომებზეო. კი, მაგრამ თქვენ რა ამბ. გ. კირვალიძე, რატომ თვითონვე არ იღებთ გადამჭრელ ღონისძიებებს, ეს ხომ საბჭოს ავტორიტეტს აწევდა, ხელს შეუწყობდა მუშაობაში.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე ამას წინათ მსჯელობის საგნად გახადა „შრომითი რეზერვების“ სუსტი მუშაობა და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი, რესპუბლიკურ საბჭოს დაევალა გადაახალისოს მწვრთნელთა შემადგენლობა, საქმეში ჩააბან ენერგიული მუშაკები, რათა რესპუბლიკას მისცენ სათანადო შევსება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის.

ნუ დაავიწყდებათ ამხანაგებს „შრომითი რეზერვებიდან“, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, გაზრდილ მოთხოვნილებებს ეყენებს მათ ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეში, ამ სკოლების სპეციალიზებულ საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გარდაქმნა ითვალისწინებს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

ტ. კიკნაველიძე,
ო. გელაშვილი.

„შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებს კარგი ტრადიციები აქვთ. ისინი არაერთხელ გამოსულან გამარჯვებული რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ ამ წერილში ვილაპარაკებთ არა იმაზე, თუ რა წარმატებები ჰქონდათ მათ წინა წლებში. ეს საკმარისადაა ცნობილი. ჩვენ გვსურს მკითხველს მოვუთხროთ თუ რამ გამოიწვია გარღვევები, რომელთა გამოც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად იკლო სპორტსმენთა ტექნიკურმა მაჩვენებლებმა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებზე.

დავიწყოთ იმით, რომ სპორტსაზოგადოების გუნდები, რომლებსაც წამყვანი ადგილები ეკავათ, ახლა საკმაოდ ჩამორჩნენ და მიმდინარე წელს ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაზე გამოვიდნენ ძლიერ ცუდად — მეათე ადგილზე. ცალკეულ სახეობებში შედეგები ასეთია: ტანვარჯიში — მე-13 ადგილი, მძლეოსნობა და კლასიკური ჭიდაობა — მე-8, აკრობატიკა და ცურვა — მე-7, ფეხბურთი — მე-6. რაც შეეხება ისეთ სახეობებს, როგორიცაა კრივი, კალათბურთი, ფრენბურთი, ველოსპორტი, სროლა, ჩოგბურთი და სხვა, აქ ჩვენი გუნდები შეჯიბრებებში სულაც არ მონაწილეობდნენ.

ბოლო ხანებში ამ სისტემაში საგრძნობლად გაიზარდა ბაზების ქსელი. თბილისში რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებელთან მოეწყო შესანიშნავი სტადიონი, სპორტული დარბაზი, მიმდინარეობს დახურული აუზის მშენებლობა, რამდენიმე ახალი ბაზა შეიქმნა სხვა ძირეულ კოლექტივებთანაც. ჩვენის აზრით, გარღვევის ძირითად მიზეზს წარმოადგენს სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს აპარატისა და მრავალრიცხოვან მწვრთნელთა მოუქნელი მუშაობა.

საზოგადოების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ორგანიზაციულად ჯერ კიდევ განუმტკიცებელია, ბევრგან რეგულარულად არ მიმდინარეობს სექციების მეცადინეობა, იშვიათად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სასწავლებლების დირექციები სათანადო ზრუნვას არ იჩენენ ბაზების მოვლა-პატრონობისათვის. რუსთავის № 3 სახელოსნო სასწავლებელში მთელი წლის განმავლობაში სისტემატურად არც ერთ სექციას არ უმეცადინია, რაც ერთის მხრივ გამოწვეული იყო ფიზკულტურის ინსტრუქტორების ხშირი დენადობით, ხოლო მეორეს მხრივ — არსებული ბაზების უპატრონობით. აქ ერთ დროს კეთილმოწყობილი ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, საჭიდაო სარბილი უყურადღებობამ გააპარტახა და მწყობრიდან გამოიყვანა. სპორტსმენებს, რომლებიც რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადაზე ცუდად არ გამოსულან, უკეთესი მაჩვენებლების მოპოვება შეეძლოთ, რომ მათ მისწრაფებას სათანადო მხარდაჭერა ეპოვა ხელმძღვანელ მუშაკთა შორის.

ბაზების კეთილმოწყობის შესანიშნავი შესაძლებლობა გაჩნიათ რუსთავის № 17 სამშენებლო სახელოსნო სასწავლებელში. ვრცელი უზო გამოუყენებელია და მოედნების დამთავრებას ბოლო არ უჩანს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ სასწავლებლის მრავალრიცხოვანი პედკოლექტივიდან მხოლოდ სამია სპორტსაზოგადოების წევრი. დაბალ დონეზე დგას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა აგრეთვე ფოთის, ბორჯომის, წულუკიძის, ქუთაისის, ველისციხისა და სხვა სასწავლებლებში.

ძირეული კოლექტივებისადმი უყურადღებობისა და არასათანადო კონტროლის გამო ბევრგან საგრძნობლად შემცირდა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, იკლო სპორტსმენთა ტექნიკურმა მაჩვენებლებმა. ასეა ენისელის სასოფლო-სამეურნეო სახელოსნო სასწავლებელში, რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებელში და სხვაგან. მარტო ამ უკანასკნელ კოლექტივში წინა წელთან შედარებით ფრენბურთში მომეცადინეთა რაოდენობა განახევრდა, ხოლო მძლეოსნობის სექციაში გაერთიანებულთა რიცხვი დავიდა რვამდე (!). ანალოგიურ ფაქტებს აქვს ადგილი ტყვარჩელის სამთო-სამრეწველო, თბილისის № 6 სახელოსნო, სურამის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და სხვა სასწავლებლებში.

მითითებანი, სხვათა სამაგალითოდ დაესაჯა რამდენიმე მწვრთნელი ან ინსტრუქტორი, ამ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ ლიბერალობამ და უპასუხისმგებლობამ დღეს აქაური ფიზკულტურელები სავალალო ფაქტის წინაშე დაყენა.

საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია ისიც, რომ რესპუბლიკური საბჭო წლების განმავლობაში ვერ ასრულებს ოსტატებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს სახეობათა მიხედვით. მაგალითად, პირველთანრიგოსნები წელს სპორტის 11 სახეობაში უნდა მოემზადებინათ, სინამდვილეში ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი სახეობის ხარჯზე აპირებენ „ფონს“ გასვლას. სასწავლო-სპორტული მუშაობის დაბალ დონეზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი, რესპუბლიკური საბჭოს შეჯიბრებაზე ძირეულ კოლექტივებს ხშირად გამოჰყავთ აშკარად მოუმზადებელი სპორტსმენები, რომლებიც ხარჯის მეტს არაფერს აძლევენ ღონისძიებათა ორგანიზატორებს. შარშან „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მონაწილე 1.055 სპორტსმენიდან მხოლოდ 131-მა შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები, მსგავს ფაქტებს ჰქონდა ადგილი მიმდინარე წლის სპარტაკიადაზეც. ცურვაში სტარტზე გამოსული 129 კაციდან სათანრიგო ნორმები აჩვენა 69-მ, ასე იყო ტანვარჯიშსა და სხვა სახეობებშიც. სწორედ ამიტომაა, რომ საზოგადოების რეკორდების ცხრილში ჯერ კიდევ მრავლად ზის ციფრები, რომლებიც მეორე და მესამე თანრიგს არ აღემატება.

მარტო ჭიდაობაში ახალგაზრდების აღზრდის საქმეს რვა მწვრთნელი ხელმძღვანელობდა, დღემდე კი ყველა მათგანს ერთი სპორტის ოსტატიც არ მოუცია რესპუბლიკისათვის. მესამე თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმის შესრულება 14 პროცენტს ვერ გაცდა, მოზარდთა თანრიგზე კი გეგმით გათვალისწინებული 180-ს ნაცვლად მოამზადეს... 11 სპორტსმენი. მათ არ ჩამორჩნენ მწვრთნელები მძლეოსნობაში, რომლებმაც ვერ შეძლეს თუნდაც ერთი პირველთანრიგოსნის გამოვლინება, გეგმა კი 8-ს ითვალისწინებდა. უფრო „შორს“ წავიდნენ მწვრთნელები ველოსპორტში, სროლაში, რომლებსაც არც ერთი თანრიგოსნით არ შეუვსიათ მათი რიგები.

რა უნდა ვილაპარაკოთ სპორ-

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

მოსკოვის სპორტის სასახლეში დამთავრდა XII პირველობა აკრობატიკაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ბრძოლაში თავიდან ჩაება 220 სპორტსმენი, რომელთაგან ფინალურ შეჯიბრებაში გავიდა მხოლოდ 62.

აკრობატულ ხტომებში ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლენინგრადელმა რ. ზვერევამ, ხოლო ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ვ. ბირიუკოვი (ბელორუსია).

შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს რ. სბიტოვამ და ვ. პიხოვმა (მოსკოვი). ჯგუფურ ვარჯიშებში ჩემპიონობა მოიპოვეს აგრეთვე მოსკოველებმა (ა. ტამოჟნიკოვი, ნ. მოისეევი, ს. კუზმინი და პ. ანტონოვი).

თ. კუმაკვა, ვ. კაკარაკვა, თ. ბერიშვილი, ვ. მახარაშვილი, ბ. ვრონიაკი, ი. ხარლანოვი, მ. ბინზბურგი, მ. რევაზოვი.

რესპუბლიკის 1958 წლის ჩემპიონი ფრენბურთში — ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცანით — 7×7

გავიდა ორი წელი მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში აღორძინებულ იქნა სპორტის ახალი სახეობა—ხელბურთი, ან როგორც მას უწოდებენ „განდბოლი“.

არსებობს ხელბურთის ორი სახეობა: 11X11, რომელიც უკვე დამკვიდრდა ჩვენში და 7X7, რომელშიც შეჯიბრებები თბილისში პირველად დაიწყება მომავალი წლიდან.

ხელბურთი 7×7 მეტად საინტერესო, ტემპიანი თამაშია, მისთვის საჭიროა სწორი მინდორი ფართობით 45×30 მ. მისი მოწყობა დიდ ბიჯნელეს არ წარმოადგენს. მინდორი განივი ხაზებით იყოფა 3 ტოლ ნაწილად. პირითი ხაზისაკენ ყოფ ნაწილებს ეწოდება დაცვის მინდვრები, ხოლო მათ შორის მდებარე ნაწილს—შუა მინდორი. მინდვრის შუაგულში იხაზება 4 მ რადიუსის წრე. ყოველი პირითი ხაზის შუა წერტილიდან 6 მ რადიუსით შემოიხაზება ნახევარწრე, რომელიც ქმნის მეკარის მოედანს. პირითი ხაზის შუაში იდგმება კარი, რომლის სიგრძეა 3 მ.

თამაშში მონაწილეობს 2 გუნდი. ყოველი მათგანის შემადგენლობაშია 1 მეკარე და 6 მინდვრის მოთამაშე (მათ გარდა არის 4 სათადარიგო მოთამაშე).

ბურთის მიწოდება და ტყორცნა თამაშის დროს შეიძლება ყოველგვარი ხერხით. ბურთის ტარება ნებადართულია ისევე, როგორც კალათბურთში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოთამაშეს ადგილიდან შეუძლია 3 ნაბიჯის გაკეთება. ე.წ. მეორე შეხება აკრძალულია. ბურთის ხელში გაჩერება ნებადართულია არა უმეტეს 3 წამით.

თამაშის ხანგრძლივობა 13-14 წლის ასაკის გოგონებისა და ბიჭებისათვის უდრის 30 წუთს (თითო ტაიმი 15 წუთი). 15-16 წლის ასაკისათვის — 40 წუთს, ხოლო ქალთათვის —50 წუთს. 17-18 წლის ჭაბუკებისა და ვაჟთათვის თამაშის ხანგრძლიობა უდრის 60 წუთს. შესვენება ტაიმებს შორის 10 წუთია.

ხელბურთი საინტერესო თამაშია, რომელიც ხელს უწყობს სპორტსმენთა მრავალმხრივ ფიზიკურ მომზადებას. ჩვენში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ სპორტის ამ სახეობამ დიდი გავრცელება მიიღოს. სპორტსაზოგადოებებმა, ფიზკულტურის ძირეულმა კოლექტივებმა აქტიურად უნდა მოკიდონ ხელი მის პოპულარიზაციას და ფართო გავრცელებას.

მომავალი წლის იანვარში თბილისში ჩატარდება ქალაქის პირველობა ქალთა გუნდებს შორის, რის შემდეგ თბილისის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს ქალაქების მატჩში, რომელიც დანიშნულია ხარკოვში.

ი. პარლაგაშვილი

სპორტულ საზოგადოებებში

„ლოკომოტივი“

თბილისში, „ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში გრძელდება ამიერკავკასიის რკინიგზის კალათბურთელთა გუნდების ტურნირი. მეორე ტურში ყურადღების ცენტრში იყო სამტრედიისა და ლენინაკანის სპორტსმენთა შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვება მოიპოვეს სომხეთის წარმომადგენლებმა — 95:91. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა აგრეთვე ამავე ქვეჯგუფის გუნდებს — ორთქლმავალ-ვაგონშემეთებელი ქარხნისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივებს შორის. იგი მოიგეს ქარხნის კალათბურთელებმა — 52:44.

თბილისისა და სოხუმის რაიონული საბჭოების გუნდებია შეხვედრაში გაიმარჯვეს დედაქალაქის წარმომადგენლებმა — 79:35, ხოლო ერევნელებმა დაამარცხეს ხაშურის გუნდი — 72:49.

მესამე ტურში ლენინაკანელებმა მოუგეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს — 68:45. დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: სოხუმი-ხაშური — 55:40, ერევანი-„ბაკტრანსტანი“—75:19, სამტრედია-თბილისი, საორთქლმავლო დეპო — [illegible]:59.

ლ. თუშიშვილი

• • •

დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის პირველობა ჭადრაკში.

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო თბილისელმა სტუდენტმა ტ. [illegible]ურმა, რომელმაც ზედიზედ [illegible] შეხვედრა მოიგო იგი 11 ქულით პირველ ადგილზეა. მეორე [illegible]ილი დაიკავა სოხუმელმა ტ. [illegible]არიანმა (10 ქულა). ხოლო [illegible]მე — თბილისელმა გ. ჯანია[illegible]ლმა.

ა. ბარნოვი

კვლავ ახმაურდა დიღმის სასროლეთი

ტყვიით სროლა სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის პროგრამაში შედის და საკმაოდ მნიშვნელოვანი კოეფიციენტიც აქვს. წინა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენები ამ სახეობაში მაინცდამაინც ბრწყინვალე შედეგებით ვერ გამოვიდნენ, ხოლო შემდეგ, გასულ წელს დამარცხდნენ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზეც. ცხადია, ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებდა სათანადო დასკვნების გამოტანისა და მუშაობის აუცილებელი გარდაქმნის საჭიროებას. ამ მიმართებით უკვე ჩატარდა ერთგვარი ღონისძიებანი, სპორტსმენებს ვარჯიშისათვის შეექმნათ უკეთესი პირობები, მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა შესრულებული დიღმის სასროლეთის კეთილმოსაწყობად და სხვა.

ახლა, როცა ხალხთა II სპარტაკიადამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეამოწმოს ტყვიით მსროლელთა მომზადების დონე და დარჩენილი დრო გამოიყენოს გამოვლინებული ხარვეზების დასაძლევად. ამ მიზნით გასულ შაბათს თბილისში, დიღმის სასროლეთზე დაიწყო „მიერკავკასიის რესპუბლიკების უძლიერეს მსროლელთა ხამატჩო შეხვედრა. შეჯიბრება ტარდება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ვარჯიშებში.

პირველ დღეს გაიმართა ნებისმიერი პისტოლეტიდან სროლა 50 მეტრზე (15 საცდელი და 60 ჩასათვლელი) აქ თვითეულ მონაწილეს 6 სერიად ეძლეოდა 10-10 ვაზნა. პირველ სერიაში საქართველოს გუნდის წევრმა 3 სალუქვაძემ ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა და 100 შესაძლებლიდან მხოლოდ სამი დაკარგა. მაგრამ მაჩვენებლებმა შემდეგ სერიებში თანდათან იკლო — 92 ქულა, 89 ქულა და მეოთხე სერიაში დავიდა 87-მდე, მაშინ, როცა მისი ყველაზე საშიში მეტოქეები მ. ოვსეპიანი (სომხეთი) და ი. ზინჩენკო (აზერბაიჯანი) თანდათან აუმჯობესებდნენ შედეგებს.

დადგა რა აშკარა დამარცხების საშიშროების წინაშე, სალუქვაძემ უკანასკნელ ორ სერიაში ისევ საგრძნობლად გაზარდა მაჩვენებლები, 600 შესაძლებლიდან 549 ქულა მოაგროვა და გაიმეორა რესპუბლიკური რეკორდი. ამდენივე ქულით დაამთავრა შეჯიბრება ი. ზინჩენკომაც, მაგრამ ამ უკანასკნელს საკონტროლო ათიანებში მოხვედრების მეტი რაოდენობა აღმოაჩნდა, რისთვისაც მიეკუთვნა მეორე ადგილი. პირველ ადგილზე გამოვიდა მ. ოვსეპიანი — 555 ქულა. სალუქვაძეს რომ მეტი თავდაჭერა გამოეჩინა, დაემორჩილებინა ნერვები მესამე და მეოთხე სერიებში, სადაც საკმაოდ ცუდად ესროდა, იგი მიუღწეველი აღმოჩნდებოდა მოწინააღმდეგეთათვის. მაგრამ სალუქვაძემ ასე თუ ისე შეძლო დამაკმაყოფილებელი შედეგის ჩვენება, სამაგიეროდ მისი სხვა თანაგუნდელები საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ. დ. პილიევმა მოიპოვა მე-8, ა. შილოვმა მე-9, შ. გუჯარელიძემ მე-14, ხოლო კ. პროზოროვმა — მე-17 ადგილი, რაც ნათლად მეტყველებს, რომ ამ სახეობაში მაინცდამაინც საქმე კარგად არა გვაქვს და მეორე ადგილი, რომელიც გუნდურ ჩათვლაში მოვიპოვეთ სომხეთის შემდეგ, მხოლოდ აზერბაიჯანელთა წარუმატებლობით უნდა აიხსნას.

სხვაგვარად წარიმართა შეჯიბრება მეორე დღეს სილუეტებზე სწრაფსროლაში, რაც ორი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა.

აქ პირველივე გასროლიდან წარმატებით დაიწყეს შეჯიბრება საქართველოს გუნდის წევრებმა კ. ფოტიევმა, ა. შილოვმა, ლ. კოფმანმა. პირველი სერიის 8-წამიან გასროლებში კ. ფოტიევმა 94 ქულა მოაგროვა, 6-წამიანში — 97, ხოლო 4-წამიანში — 98 ქულა. შესვენების დროს, მისი რიგის მოახლოვებამდე მეორე 30 გასროლის შესასრულებლად, მწვრთნელმა თ. ხერხეულიძემ მოაგონა სპორტსმენს, რომ მას არ უსროლია მათ მიერ ახლახან დამუშავებული მეთოდით.

— ესროლე, ნუ გეშინია, მოიგებ! — ამხნევებდა იგი სტარტზე განმეორებითი გასვლის წინ. მართლაც ფოტიევმა მეორე 300 შესაძლებლიდან მხოლოდ 5 ქულა დაკარგა და 60 ტყვიით 594 ქულა მოაგროვა, რაც 4 ქულით აღემატება რესპუბლიკის ძველ რეკორდს. კარგად შეასრულეს ვარჯიშები საქართველოს გუნდის სხვა წევრებმაც. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ა. შილოვი — 578 ქულა და ლ. კოფმანი — 567 ქულა. საქართველოს ნაკრებმა (გუნდში შედიოდა ოთხი სპორტსმენი) მოაგროვა 2.292 ქულა და 61 ქულით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი. სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდების თითო სპორტსმენმა ვერ შეასრულა ჩასათვლელი ნორმატივი (პირველი თანრიგის შედეგი) და გუნდებმა შესაბამისად მოაგროვეს 1.683 და 1.682 ქულა.

შეჯიბრება დამთავრდება ხვალ.

ო. ივდოშვილი

• • •

სურათზე: კ. ფოტიევი ცეცხლის ხაზზე.

მაგიდის ჩოგბურთი

ათი გუნდის მონაწილეობით

ძირეული კოლექტივების 10 გუნდი მონაწილეობდა დედაქალაქის პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები. ანგარიშით 5:2 გამარჯვება მოიპოვეს მომავალმა ინჟინრებმა.

გასულ კვირას დაიწყო პირადი პირველობის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობს 90-მდე ჩოგბურთელი.

ლ. ქართველიშვილი

• • •

ძირეულ კოლექტივებს შორის

სტალინირში ჩატარდა „განთიადის“ პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა სატყეო კომბინატის მუშა გ. მიხაილოვი, ხოლო ქალებში — ტ. შავლოხოვა (კომკავშირის საქალაქო კომიტეტი).

ნ. კიკნაძე

რაიონის თასზე

დამთავრდა ყვარლის რაიონის პირველობა ფეხბურთში გაზეთის „ლენინური გზით“ სახელობის თასზე. ფინალში გავიდნენ ყვარლის ი. სტალინისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობათა გუნდები. გაიმარჯვეს ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1.

ვ. გურასპაშვილი

ქარხნის ფეხბურთელთა გამარჯვება

თბილისის პირველობა ფეხბურთში ჩატარდა 2 ეტაპად. თავიდან გათამაშება მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხაზით ცალცალკე. შემდგომში გამარჯვებულები მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში ქალაქის პირველობაზე.

ყველაზე მასობრივი გამოდგა გათამაშება სპორტსაზოგადოება „განთიადში“, სადაც მონაწილეობდა 45 გუნდი. სულ წინასწარ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა გუნდმა.

შეჯიბრებები ქალაქის პირველობაზე მიმდინარეობდა 2 ქვეჯგუფში. „ა“ ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდმა, ხოლო „ბ“ ქვეჯგუფში გაიმარჯვეს კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის ფეხბურთელებმა.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა ფინალური მატჩი ამ ორ გუნდს შორის. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა — 0:0. შესვენების შემდეგ, . მხოლოდ 42-ე წუთზე გაიტანეს კიროველებმა გოლი, რომელმაც მათ მოუტანა პირველი ადგილი.

კიროვის სახ. ქარხნის ფეხბურთელებს გადაეცათ წითელი დროშა, მეორე ადგილზეა ინდუსტრიული ტექნიკუმის, ხოლო მესამეზე — მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდები.

ა. გონელი

კონსტიტუციის სახელობის თასზე

თელავი. აქ მოუწყო სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საარაონო გათამაშება ფეხბურთში.

ფინალში სპარტაკელებმა დაამარცხეს ქალაქის ნაკრები — 3:2 და დაიკავეს პირველი ადგილი.

ბ. ჩიკვაიძე

ლაშქრობა კავკასიონზე

ვილფრიდ ევანსი
„დეილი უორკერი“.
ლონდონი

ამ ცოტა ხნის წინ მოვისმინე სერ ჯონ ჰანტის გამოსვლა რადიოთი, რომელმაც ფრიად საინტერესოდ მოგვითხრო თავისი ბოლო ლაშქრობის შესახებ კავკასიონის ქედზე. მან ილაპარაკა იმ გულთბილ შეხვედრაზე, რომელიც მოუწყეს სტუმრებს საბჭოთა ალპინისტებმა. საბჭოთა მთამსვლელებმა ყველაფერი გააკეთეს რათა დახმარება გაეწიათ ინგლისელი ალპინისტებისათვის.

ინგლისელი ალპინისტები 1938 წლიდან არ ყოფილან კავკასიონზე, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მთები მათთვის მეტად საინტერესო მასივია. განთქმული ინგლისელი მთამსვლელები სერ დუგლას ფრეშვილდი და ა. ფ. მამერი ბევრჯერ ყოფილან აქ და სრულიადაც არ გამიკვირდება, თუ რომელიმე ხანდაზმულ კავკასიელს შემორჩენილი აქვს მეხსიერებაში მათთან შეხვედრები. სერ ჯონ ჰანტი გუთბილად, მეგობრულად იხსენიებს საბჭოთა მთამსვლელებს. თვითონ ჰანტი ფრიად გამოცდილი ალპინისტია. იგი დიდი პატივისცემით სარგებლობს ყოველ ქვეყანაში. ვისაც კი წაუკითხავს ევერესტზე ასვლის ამბავი, ადვილად მიხვდება თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა მისმა გამოცდილმა ხელმძღვანელობამ და გამბედაობამ. სერ ჰანტი აღნიშნავს საბჭოთა ალპინისტების ოსტატობას და ხაზს უსვამს მათი კონტროლის სისტემას. ისინი სალაშქროდ მხოლოდ ისეთ მთამსვლელებს უშვებენ, რომელთაც გაიარეს შესაფერისი წვრთნა და დაამტკიცეს, რომ ძალუძთ ასვლაში მონაწილეობა.

საინტერესოა ის ახალი ამბავი, რომ დაახლოებით 1960 წელს ჩინელი და საბჭოთა ალპინისტების გაერთიანებული ექსპედიცია აპირებს ევერესტზე ასვლას ჩრდილოეთის მხრიდან. ამ გზას ჩვენ კარგად ვიცნობთ, რადგან ერთ დროს ინგლისელ ალპინისტებს მასზე მოწოპოლია ჰქონდათ. ჩვენ დაგვჭირდა დალაი ლამას ნებართვა რადგან ტიბეტელები ამ ადგილს წმიდად სთვლიან. მაშინ ინგლისელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის თუ რომელ მარშრუტს აირჩევს ექსპედიცია, წავლენ თუ არა იმ გზით, რომლითაც მელორი და ირვინი ავიდნენ, თუ ნორტონის ტრავერსით შეეცდებიან უკანასკნელი მწვერვალის დაპყრობას. ეს ძალიან გვაინტერესებს. ჩვენ საკმაო გამოცდილება გვაქვს და დიდი სიამოვნებით გავუზიარებდით მას ჩვენს მეგობარ საბჭოთა და ჩინელ ალპინისტებს.

საბჭოთა მთამსვლელებს ჯერ არ მოუწყვიათ ასვლები თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ყოველთვის კარგად ერკვეოდნენ, მსოფლიო ალპინიზმის სფეროში. ამას წინათ სერ ჯონ ჰანტმა მიწვევა გაუგზავნა მათ მონაწილეობის მისაღებად ჩვენთან ერთად იმ ასვლებში, რომლებიც ინგლისში ჩატარდება. ხაშწუხაროდ, ჩვენ ვერ შევთავაზებთ ისეთ მწვერვალებს, როგორიც ამაყ კავკასიონზეა, თუმცა ჩვენი ალპინისტები აქაურ მწვერვალებშიც პოულობენ მრავალ საინტერესოს.

საბჭოთა და ინგლისელ მთამსვლელებს ბევრი საერთო აქვთ თავიანთ მიხწრაფებებში, ტემპერამენტში. ჩვენ [illegible] ერთობა, [illegible] მსოფლიოში [illegible] ადამიანთა [illegible] დობის გამარჯვებას მოსმარდება.

75 წლის ძალოსანი

უჩვეულო მოხუცია პავლე ივანეს-ძე კირილოვი. იგი 75 წლისაა, მაგრამ მას შენარჩუნებული აქვს საოცარი ჯანმრთელობა და ფიზიკური ძალა. ამსხვრევს ხუთმილიმეტრიანი რკინის მავთულს, ზურგზე დაწოლილი მკერდსა და ფეხებზე იდგამს ფიცარნაგს, რომელზეც 16 კაცი თავსდება.

პ. კირილოვმა ამ გასაოცარ ჯანმრთელობას მიაღწია წვრთნით ათეული წლების მანძილზე. 1910 წელს მან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი სამძიმეთა აწევაში. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში კირილოვი წევდა ორფუთიან საწონებსა და შტანგას, რომლის ბოლოებზე დამაგრებული იყო საფანტით სავსე თუჯის ბირთვები. საინტერესოა, რომ მსოფლიო პირველობაზე კირილოვმა ცალი ხელით აწია 6 ფუთი და 10 კილოგრამი. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე კი მან 110-ჯერ აწია ორფუთიანი საწონი.

შემდგომში ა. კირილოვი გამოდიოდა ცირკში და ძალოსანთა შეჯიბრებებზე. იგი ახლაც სასტემატურად ვარჯიშობს, ზამთრობით ტანს იზელს თოვლით და დადის ტურისტულ ლაშქრობებში.

ქუჩნაღ „ვოქაჯის“ პრიზზე

ამ დღეებში გეგეჭკორში მოეწყო რაიონის უფროს პიონერხელმძღვანელთა პირველობა ჟურნალ „ვოქატის“ პრიზზე.

სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა თ. ნაჭყებიამ (გაჭედილის საშუალო სკოლა), მეორე ადგილზეა ვ. კოკაია (სერგიეთის საშუალო სკოლა), სიმაღლეზე ხტომაში მეორე ადგილი წილად ხვდა გ. კვესელავას (ლეციცხვაიეს საშუალო სკოლა).

გ. ლაფანაშვილი

სურათზე: შვედი მოჭიდავეები თბილისში.



ДЕСЕ ДЕСЕ

თბილისი, სახ. ცირკი
საერთაშორისო შეხვედრა
კლასიკურ ჭიდაობაში

შვეცია — საქართველო

დასაწყისი საღამოს 20 ს.





ჭადრაკის ამბები

⊙ **ჰოლანდია.** დორდრეჰტეს საჭადრაკო კვირეულის პროგრამაში შედიოდა ქალთა და ვაჟთა „ღია“ ჩემპიონატები. ქალთა ტურნირში გაიმარჯვა ჰეემსკერკმა (6 ქულა 7-დან), ხოლო ვაჟთა ჩემპიონატში I-III ადგილები გაიყვეს ვან ვეზელმა, დიმერმა და მულდერმა (4,5 ქულა 5-დან).

ჭაბუკთა შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა კუიპერმა.

* * *

⊙ **ამერიკის შეერთებული შტატები.** „ღია“ ჩემპიონატში, რომელიც შვეიცარული სისტემით 12 ტურად ჩატარდა, გამარჯვებისათვის იბრძოდა 139 მოჭადრაკე. პირველი ადგილი დაიკავა კუნძულ კუბის წარმომადგენელმა კობო-არტეაგმა (10 ქულა), მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გროსმაისტერი ევანსი, ოსტატი დ. ბირნი და სტეინმეიერი. შემდეგ არიან გროსმაისტერი ბისპაიერი, კაუფმანი და სხვ.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 17 წლის ვაინშტეინმა.

* * *

⊙ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.** 78 წლის ასაკში გარდაიცვალა გერმანული ჭადრაკის ვეტერანი ოსტატი კარლ კარლსი, რომელიც 1911 და 1934 წლებში გერმანიის ჩემპიონი იყო.

გფრ-ის ჩემპიონის სახელი ქალთა შორის მოიპოვა აკსტმა (10,5 ქულა 13-დან).

ჭაბუკთა პირველობაში I-II ადგილები გაიყვეს ჰეხტმა და ბეშმა (12,5 ქულა 15-დან).

* * *

⊙ **ფინეთი.** ქვეყნის ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა ოსტატმა ოიანენმა (11,5 ქულა 13-დან). შემდეგ არიან კოსკინენი (9 ქულა), პასტუხოვი და ნიმელა (8,5 ქულა).

* * *

⊙ **საფრანგეთი.** ქვეყნის ჩემპიონის სახელი მიენიჭა ლემუანუს, რომელსაც კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა, ვიდრე როსს. ტურნირში მონაწილე მოჭადრაკე ქალმა შოდე დე სილანმა 4,5 ქულით X-XI ადგილები გაიყო.

* * *

⊙ **შვეიცარია.** ბერნში შედგა შვეიცარიისა და დანიის მუშათა საჭადრაკო საბჭოების მოჭადრაკეთა შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5,5:4,5.

* * *

⊙ **პოლონეთი.** ჭაბუკთა ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა, პირველი იყო ბერნარსკი (8,5 ქულა 10-დან).

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-69. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07263